



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 90

ქალაქი ქუთაისი

27

ივნისი

2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დახმარების ეროვნული ფონდისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დახმარების ეროვნული ფონდის“ 27.02.2018 წლის №4 მომართვისა და 2018 წლის 4 ივნისს ჰუმანიტარული ტვირთის განაწილებისა და მოხუცთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დახმარების ეროვნული ფონდისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 212919788), პირდაპირი განკარგვის წესით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №59-61-ში (ნაკვეთი №2) მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 36,00 კვ.მ. და მეორე სართულზე არსებული 290,04 კვ.მ. (სულ 326,04 კვ.მ.) არასაცხოვრებელი ფართების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (საკადასტრო კოდი №03.04.03.474).

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „დახმარების ეროვნულ ფონდს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 212919788), განკარგულების პირველ მუხლში ხსენებული უძრავი ქონება გადაეცეს მოხუცთა თავშესაფრისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრის მოწყობისათვის.

მუხლი 3. არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა „დახმარების ეროვნულმა ფონდმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 212919788) უზრუნველყოს მოხუცთა თავშესაფრისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ფუნქციონირება მინიმუმ 2028 წლამდე.

მუხლი 4. ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2028 წლამდე. ამასთან, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „დახმარების ეროვნულ ფონდს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 212919788) განკარგულების პირველ მუხლში ხსენებული უძრავი ქონება სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წლის განმავლობაში გადაეცეს უსასყიდლოდ, ორი წლის შემდეგ, საიჯარო ქირა განისაზღვროს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრადის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

რამაზ ჩხიკვაძე